ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2026 წელი

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 17 სექტემბრის №3858/01 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

**1.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №55-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში, პირველ სართულზე მდებარე 60.30 კვ.მ. ფართის მქონე ბინა №4, მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.33.21.241.01.004) ერთად.

**2.** ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მიღებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

**3.** წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი
## პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო“-ს 2026 წლის 27 მაისის №01-01-10/2413 (მერიაში რეგისტრაციის №04-1426147485-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის №285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2024 წლის 23 აპრილის №38 ოქმით (რეკომენდაცია №29), განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №55-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის ფაქტობრივი მფლობელის (ა.ა-ი) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ფართის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში არსებობს კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №55-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 03 ივნისის №14-1426154364 მიმართვის საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული 2026 წლის 13 აგვისტოს №1/1-7026 ბრძანებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N55-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში, პირველ სართულზე არსებული ბინა N4, ფართით 60.30 კვ.მ. და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.33.21.241.01.004, შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

ამჟამად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 17 სექტემბრის №3858/01 (№07-1426260556-14) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N55-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში,

პირველ სართულზე არსებული ბინა N4, ფართით 60.30 კვ.მ. და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.33.21.241.01.004 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში, მისი ფაქტობრივ მფლობელზე (ა.ა-ი) გადაცემის მიზნით.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, მისი ფაქტობრივ მფლობელისათვის გადაცემის მიზნით.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**

სამართლებრივი აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

**დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება:**

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

**ე) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

**ვ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

**ზ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

**თ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

**ი)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**მუნიციპალური ქონების მართვის**
**სამსახურის უფროსი** **დავით კოპინაძე**